ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3108704

ნომერი: AR1480189

თარიღი : 20.02.2017

გაცემის თარიღი : 21.02.2017

გაცნობის თარიღი : 21.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ძმ. კაკაბაძეები (ყოფ. ლეონიძე), N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჯიბღაშვილი პ/ნ 01010002390
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 11 ბ. 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ირკვევა, გააჩნია თუ შენობას, მისამართით ქ. თბილისი, ძმ. კაკაბაძეების (ყოფ. ლეონიძე) ქ. N2, რომელზეც ითხოვთ I კლასის სამუშაოების განხორციელებაზე წერილობითი თანხმობის გაცემას, კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილი სარეკონსტრუქციო შენობის სტატუსის თაობაზე.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საჭიროა დამატებით წარმოდგენილი იქნეს:

1. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და საპროექტო ფოტომონტაჟი შორი ხედიდან;
2. გათვალისწინებული უნდა იქნეს "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები; კერძოდ, მე–4 მუხლის 2' პუნქტის მიხედვით, "საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.